ლიკა სარქისოვი, მარიამ ხანოიანი

ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტი, რუმინეთი

Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სტუდენტთა ფინანსური მომსახურების დეპარტამენტიდან, მიიღეს მონაწილეობა ერთ-კვირიან გაცვლით პროგრამაში რუმინეთში, ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტში. პროგრამა დაგეგმა მასპინძელმა უნივერსიტეტმა საერთაშორისო თანამშრომლობისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ მრავალფეროვან კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებში. მათ შორის იყო გაცნობითი შეხვედრები, ლექციები პროექტის მენეჯმენტის თემატიკაზე, ქალაქის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. ვიზიტმა ხელი შეუწყო საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერებას და მომავალი ერთობლივი პროექტების ინიციირებისთვის მტკიცე საფუძველი შექმნა.

ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ემსახურება Erasmus+ პროგრამის მისიას ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას და პროფესიულ განვითარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.